

ვასტანო როდონია
ავთანდილ არაბული

ნინო ნაკუდაშვილი
მარინე სუციშვილი

ქართული ლიტერატურა

მოსწავლის ნიგნი

5

I ნაწილი



სწავლანი



საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა

ლექსი დავით მალრაძისა

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება.
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

ქართული ლიტერატურა

V

მოსწავლის ნიგნი

I ნაწილი

ბრიფინიჭებულია საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

ავტორ-შემდგენლები: ვახტანგ როდონია
ნინო ნაკუდაშვილი
ავთანდილ არაბული
მარინა ხუციშვილი



2018

ქართული ლიტერატურა
V კლასის სახელმძღვანელო
I ნაწილი



ავტორ-შემდგენლები: ვახტანგ როდონაია
ნინო ნაკუდაშვილი
ავთანდილ არაბული
მარინა ხუციშვილი

რედაქტორები: მანია ჯალაშვილი
ვატი ფირუშაძე

მხატვარი-დიზაინერი: მარიამ ჯანდიერი

კომპიუტერული

უზრუნველყოფა: ქეთევან გოგავა

სახელმძღვანელოში გამოყენებულია დიმიტრი ერისთავის, ელენე ახვლედიანის, ლევან ცუცქერიძის ფერწერული ნამუშევრები.

© „სწავლანი“, 2018 წელი. პირველი გამოცემა

გამომცემლობა „სწავლანი“

მისამართი: თბილისი, ს. ცინცაძის 39

ტელ.: 2 36 91 85

www.stavlani.ge

ISBN 978-9941-9548-9-4

ISBN 978-9941-9548-1-8

V. Rodonaia, N. Nakudashvili, A. Arabuli, M. Khucishvili

GEORGIAN LITERATURE 5 (I)

First Edition, 2018

Published by STSAVLANI Publishing

შინაარსი

I ნაწილი

I თავი. გოგონები და ბიჭები

ეთერი – რევაზ ინანიშვილი	9
ნისლი ზმორებით ადგა მიწიდან – შოთა ნიშნიანიძე	14
უკულმა დაჭედილი – რევაზ ინანიშვილი	16
ფეხქვეშ გათელა შემოდგომამ ხეჭეჭურები – შოთა ნიშნიანიძე	20
მირანდუსტ – რევაზ ინანიშვილი	21
განელეზული კოცონი – გივი ბუთხუზი	30
კაცად მაშინ ხარ საქები – ილია ჭავჭავაძე	36
შრომით და სიმამაცით – ხალხური	36

II თავი. დედა, მშობლიური გარემო

იავნანამ რა ჰქმნა?! – იაკობ გოგებაშვილი	39
იავნანა – ხალხური	63
ჩვენი ქართული – სიტყვაქარგული – იოსებ ნონეშვილი ..	64
დედა – ალექო შენგელია	65
დედას – გიორგი ლეონიძე	66
ჩემი თავგადასავალი – აკაკი წერეთელი	68

II ნაწილი

I თავი. სახელოვანი წინაპრები

ვახტანგ მეფე – ხალხური	7
ვახტანგ მეფე – შოთა ნიშნიანიძე	8
თამარის დროშა გაშალეს – გრიგოლ ორბელიანი	9
ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი – ილია ჭავჭავაძე	11
მტრის ძლევა – ილია ჭავჭავაძე	17
ასეთი დარი თუ იყო მაშინ – ანა კალანდაძე	18
თბილისი – ოთარ ჭილაძე	20
კრწანისის ყაყაჩოები – ლადო ასათიანი	21
სიზმარი – აკაკი წერეთელი	22
ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი – უცნობი ავტორი	24
ვაჟკაცსა გული რკინისა – ხალხური	25
კიდევაც დაიზრდებიან – ხალხური	26

II თავი. შოთა და საბა

ვეფხისტყაოსანი – შოთა რუსთაველი – ამბავი	
როსტევან არაბთა მეფისა	29
სიბრძნე-სიცრუისა – სულხან-საბა ორბელიანი –	
იგავ-არაკები: უსამართლო შირვანშაჰი	34
მეფე და ავსიტყვა	36
ორმოში ჩაგდებული მეფე	125
ენით დაკოდილი	37
უტკბესი და უმწარესი	40

III თავი. რა ხდება ზღაპარში?

პატარა დინოზავრი – გურამ პეტრიაშვილი	43
პეპელა – გურამ პეტრიაშვილი	48

IV თავი. ადამიანი და ბუნება

არავს – ნიკოლოზ ბარათაშვილი	55
გაზაფხულ იყო მაშინა – ხალხური	57
შვლის ნუკრის ნაამბობი – ვაჟა-ფშაველა	58
თუთა – ანა კალანდაძე	69
მუხა – რევაზ ინანიშვილი	71
ცელი კივის – გალაკტიონ ტაბიძე	74
ქარი ჰქრის – გალაკტიონ ტაბიძე	76
გაზაფხული – ილია ჭავჭავაძე	78

V თავი. პირისპირ

გალმევლები – გოდერძი ჩოხელი	81
ბიბლიური ისტორია – იაკობ გოგებაშვილის მიხედვით	88

გილოცავთ!

შენ უკვე მეხუთეკლასელი ხარ და ხელში ახალი სახელმძღვანელო გიჭირავს. აქ უამრავი საინტერესო რამ გელის: ნაიკითხავ მოთხრობებსა და ლექსებს შენი თანატოლების, გმირი წინაპრების, ადამიანის უმცროსი მეგობრების – ცხოველებისა და ფრინველების – შესახებ; ისწავლი, როგორ დაწერო მოთხრობა, როგორ გადმოსცე ვრცელი ტექსტი მოკლედ და როგორ ჩაასწორო შენი ნაწერი; გაიგებ, რა არის თემა, დედააზრი, საკვანძო სიტყვები და, რაც მთავარია, დაფიქრდები, რა უნდა გააკეთო იმისათვის, რომ უკეთ გაიგო, რასაც კითხულობ, ანუ გაეცნობი კითხვის სტრატეგიებს.

მაშ ასე, დავიწყობ!

კითხვის სტრატეგიები

სტრატეგია მოქმედების გეგმავს, რომელიც უნდა გამოიყენო კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს და კითხვის დამთავრების შემდეგ.

კითხვის დაწყებამდე

- გადაათვალიერე ტექსტი, ნაიკითხე სათაური, ავტორის გვარი და სახელი, დააკვირდი ილუსტრაციებს;
- სცადე გამოიცნო, რის შესახებ იქნება მასში საუბარი;
- გაიხსენე, რა იცი მსგავსი ტექსტების, მოცემული თემის ან ავტორის შესახებ;
- განსაზღვრე კითხვის მიზანი (რა მიზნით კითხულობ: უბრალოდ გაინტერესებს, ტექსტის მოკლე შინაარსი უნდა გადმოსცე, რაღაცის გაგება გსურს, რაღაც გინდა ისწავლო ტექსტიდან და სხვ.).

კითხვის დროს


იფიქრე იმაზე, რა არის ტექსტში შენთვის გასაგები და რა – გაუგებარი. გამოიყენე გაგების სტრატეგიები, კერძოდ:

- შეაჯამე წაკითხული. დროდადრო შეჩერდი და დაფიქრდი, რა ითქვა ან რა მოხდა მნიშვნელოვანი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში;
- დასვი კითხვები. დაუსვი კითხვები საკუთარ თავს წაკითხულის შესახებ და სცადე მათზე პასუხის გაცემა;
- შეამონმე გაგება. თუ ვერ გაიგე, რასაც კითხულობ, ხელახლა გადაიკითხე ტექსტის ბუნდოვანი მონაკვეთი ან გააგრძელე კითხვა, იქნებ შემდგომმა თხრობამ მოჭფინოს ნათელი შენთვის გაუგებარ ადგილს.

კითხვის დამთავრების შემდეგ

იმსჯელე თანაკლასელებთან წაკითხულის შესახებ. განმარტე, რომელი სტრატეგიები გამოიყენე და რატომ?

გოგონები და ბიჭები



წაიკითხეთ რევაზ ინანიშვილის მოთხრობის სათაური, დააკვირდით ილუსტრაციას. როგორ ფიქრობთ, რას მოგვითხრობს მწერალი ამ ნაწარმოებში?

ახლა წაიკითხეთ მოთხრობის ტექსტი და შეეცადეთ სურათების სახით წარმოიდგინოთ ის, რასაც მწერალი გიამბობთ.

რევაზ ინანიშვილი

ეთერი



ამ სოფლიდან ყველანი წავიდნენ, ზოგნი ქალაქში, ზოგნიც აქვე ახლოს, ბარის სოფლებში. მართალია, ათიოდე სახლი ჯერ ისევ სახურავმთელი დგას, მაგრამ სამი სახლის მეტს ყველას მიძიმე ბოქლომი ადევს, მხოლოდ სამი სახლიდან ამოდის ხოლმე დილა-საღამოს კვამლი, იმ სამი სახლიდანაც ორში წლებისაგან აჩრდილებად ქცეული დედაბრები ცხოვრობენ, გამოვლენ და მწუხარედ დაეხატებიან დერეფნის კედელზე, ხან წარბებთან უდევთ აკანკალებული ხელი, ხან ყურის უკან; გამუდმებით ვიღაცას ელიან, ეხმაურებიან ყოველ პატარა ჩქამს:

– ბიჭო, გოგო! ხომ არავინა ხართ მანდ?

დაბერებულან მათი ბალის ხეებიც – ნიავი აქანავებს ჭიანჭამ

ქერქებს, ბალახებში ყრია წითელი ვაშლები, დაჩამიჩებული¹ შავი ჭანჭყური. დამპალა, ჩაფეხვილა² ღობის ლატნები,³ ძურნა⁴ და ნარი⁵ მოსდებია ბილიკებს. ეზოში დადის მარტოობით გადაყრუებული ძაღლი, სამი თუ ოთხი ქათამი, ერთი ძურნაშეხორხლილი თხა, ხეებზე მოდიან თითქოსდა დაკარგული ჩიტბატონები.⁶

მხოლოდ მესამე სახლს ეტყობა კაცის ხელი. ჯერ ისევ ნედლი რცხილის წნელით არის შემოღობილი მაღალი საჩეხე,⁷ შიგ ცხვრები ბლავიან, მოთრეულია ხერხით მოჭრილი ორი ვეება წიფელი, ბებერი პანტის ძირზე მიკრულია ახალდაკლული თხის რქები, ბაღი გადაჩიჩენილია ბარით, – ეს-ესაა ოდნავ სველში ამოუღიათ კარტოფილი. სახლისკენ მიდის ფეხით გაზეკილი⁸ ბილიკი, დაბალი კიბის ძირში, საფხეკთან, დატოვებულია ფეხის ტალახი. დადიან ბატები, ინდაურები.

სახლში ცხოვრობენ: მამა, დედა და ათი წლის გოგო ეთერი. მამა ტყისმცველია, დედა დაბლა, მეძროხეობის ფერმაში⁹ მუშაობს, ეთერი მეოთხე კლასში სწავლობს. როგორც ყველა ქართველი გოგო, ისიც მორცხვია და უფროსებთან ყოველთვის თავდახრილი დგას. ამ დროს მისი ცისფერი თვალები ხან ერთ მხარეს ეძებენ გასაქცევს, ხან მეორე მხარეს. კარგად დამრგვალებული ლოყები წითლად აქვს შეშაშრული,¹⁰ კიდევ უფრო წითელ ხელებს ზურგს უკან მაღავს.

ეთერი რომ ადგება, დედა უკვე ფერმაშია წასული. შიშველი ფეხებით აითრევს რეზინის ჩექმებს, გაივლ-გამოივლის, დახედავს ინდაურებს და ბატებს, ჩაიჭვრიტება საჩეხეშიც – ბატკანი ხომ არ მოიგო რომელიმე ცხვარმა. დერეფნის ბოძზე დაკიდებულ პირსაბანზე დაიბანს ხელ-პირს, შეიმშრალებს, ჩაიცვამს, გამოენყობა სასკოლედ, ჩაიყრის ცხელ რძეში პურს, თან ჭამს, თან ქვაბზე მიყუდებულ წიგნში იყურება. მორჩება ჭამას, ჩანთაში ჩააწყობს წიგნებს, პურის ნატეხს, ვაშლებს, ჩაიცვამს წითელ მოკლე პალტოსაც, მოიხვევს მოსახვევს, აიკიდებს ჩანთას და წავა სკოლაში.

სკოლაც დაბლაა, მეორე სოფელში. გაკვეთილები ათ საათზე ეწყებათ! სანამ იქ ჩავა, ტყეა, თავ-თავქვე ჩამავალი, შეწითლე-

- 1 **დაჩამიჩებული** — ჩამიჩად ქცეული, დამჭკნარი.
- 2 **ჩაფეხვილი** — ძველი და ჩანგრეული.
- 3 **ლატანი** — წვრილი და გრძელი ძელი.
- 4 **ძურნა** — ბალახი, იკეთებს ყვითელ და მწვანე ყვავილებს.
- 5 **ნარი** — ეკლოვანი ბალახი.
- 6 **ჩიტბატონა** — ჭრელი მგალობელი ჩიტი.
- 7 **საჩეხე** — შეღობილი სადგომი ცხვრის (პირუტყვის).
- 8 **გაზეკილი** — გატკეპნილი.
- 9 **ფერმა** – საქონლის სადგომი და მოსავლელი შენობა.
- 10 **შეშაშრული** – შებრანული; აქ: დანითლებული.



ბული, ფოთლებშეთხლებული. მიდის, დილის ცინცხალ ჰაერში თითქოს ცხვირით მიიკვლევს გზას, მიაბუქებს ჩამოხვავებულ ათასი ფერის ფოთლებს, წასწვდება წითლად აღუდღუდებულ¹ კუნელს,² პანანა ხმაურზედაც კი კრთება, დადიებული თვალე-ბით იყურება აქეთ-იქით. ხანდახან მირბის კიდეც, მიიფეხვება,³ მიაფახფახებს ჩანთას. ვინც კი შეხვდება, ყველა გაღიმებული ეგებება, – მიდიხარ, ეთერ-ქალო, სკოლაშიო? ეთერი მხოლოდ თავს უქნევს და უფრო ბეჯითად მიადგამს ნაბიჯებს.

სოფელში ჩასულს ზოგჯერ თუ დაემგზავრება რომელიმე მოსწავლე, უმეტესად მარტო მიდის. ჩავა ხევში. იქ, დიდ ლოდებს შორის, მოჩქრიალებს ლურჯი მთის წყალი, იმ წყალს ორჯერ ამოჰკრავს ხელს, შესვამს ცოტას და მერე ცისკენ მიჰყრობილი თვალე-ბით დაინწყებს აღმართზე ასვლას.

აღმართი არც კი აქვს ათავებული, გამოჩნდება სკოლაც – დაბალი, ქართულკრამიტიანი, გრძელი, შეთეთრებული შენობა. სოფ-ლური დერეფნის ბოძზე კიდია თითბრის⁴ მოზრდილი ზარი, ზედ ანე-რია: „წმინდაო გიორგი შემწე მეყავ მე უღირსსა წინაშე ღმრთისა“. ეზოში დგას ლამაზად ასული ცაცხვი, იქვე – მუხის ბოძებში გაყრი-ლი სავარჯიშო ღერძი, ცაცხვის ქვეშ – გრძელი ფიცრის სკამი.

ეთერი გულმოდგინედ იწმენდს ფეხებს საფხეკად დაგდებულ

1 აღუდღუდებული – აფერადებული.

2 კუნელი – ეკლიანი ბუჩქი, ისხამს შავ და წითელ ნაყოფს.

3 მიიფეხვება – ბორძიკით მიდის.

4 თითბერი – თეთრი ფერის ლითონი.

დიდ გუთნის სახნისზე. მერე დერეფანში შედის. დერეფნის კედელზე ჩამწკრივებულია თეთრ მატერიაზე¹ ყავისფერი საღებავით დახატული, გადახუნებული, გადაცრეცილი სურათები – აკაკი წერეთელი (საფეთქელთან მიტანილი ლამაზი ხელით), ვაჟა-ფშაველა, დანიელ ჭონქაძე, ეგნატე ნინოშვილი, შიო არაგვის-პირელი და ეკატერინე გაბაშვილი.

ეთერი მორიდებით გაივლის ამ სურათების ქვეშ და დაინტერესებული შეაღებს კლასის კარს. შიგნით ჯერ არავინ არის, დგას მხოლოდ ხუთი ცარიელი მერხი (ჯგუფში ცხრანი არიან), ერთი ცოტუნუქის² დაჟანგული ღუმელი.

ეთერი რომ ჩანთას მოიხსნის, მაშინ შემოაღებს კარს დიდთავა, დაფეთებული ბიჭი.

– ტოყე! – სალამივით შეაგებებს ეთერი.

ბიჭი არაფერს ამბობს, ილიმება.

კლასის კედელზე დაბეჭდილი სურათი კიდია. ხეა აყვავებული, ხის იქით ტრაქტორი ხნავს, ნახნავს გუნდად დასტრიალებენ ფრინველები. ქვეშ მიწერილი აქვს „გაზაფხული“.

სკოლის იქით მოჩანს ძველი, დანგრეული ეკლესია. ნანგრევის წვერში აფუყული,³ დარდიანი რუხი მტრედი ზის.

ეთერი წიგნს გადაშლის და ტუჩების ცმაცუნით ამოიკითხავს: „ჩინეთში, როგორც იცით, ჩინელები ცხოვრობენ, იმპერატორიც ჩინელი ჰყავთ...“

ტუჩები ღია რჩება, სახეზე სიამოვნების შუქი ეფინება.

მამამისი ზემოთ, დიდ ტყეებში დააბოტებს და ხეებს ყარაულლობს – უნებართვოდ არავინ მოჭრას.

წავიკითხოთ, დავფიქრდეთ, ვისაუბროთ:

1. გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი? რა გვიამბო მწერალმა?
2. სად ცხოვრობს მოთხრობის მთავარი გმირი? რა ითქვა ამ სოფლის შესახებ მოთხრობის პირველივე წინადადებაში?
3. მწერალი ყურადღებას ადამიანის საცხოვრისზე გვიმახვილებს. რა ნიშნით გამოირჩა ათიოდ სახლი, იმათგან – სამი, იმ სამიდან – ორი?
4. ვინ ჩნდება პირველად სოფელში? ვის ან რას ელიან, თქვენი აზრით, დედაბრები?

1 მატერია – ქსოვილი.

2 თუნუქი – რკინის ფურცელი.

3 აფუყული – აქ: მხრებანეული, აბუზული.

5. გადმოეცით, როგორ იხატება ხეები, მათი ნაყოფი, ღობე, ბილიკები, ცხოველები, ფრინველები – რისი კვალი დაჩნევია ყოველივე ამას?
6. „მხოლოდ მესამე სახლს ეტყობა კაცის ხელი“, – გვეუბნება მწერალი. სხვაგან ბილიკებს ძურწა და ნარი მოსდებია, ამ სახლს კი „ადამიანის ფეხით გაზეკილი“ ბილიკი მიუდის. დანარჩენი განმასხვავებელი დეტალები იქნებ თქვენ დაძებნოთ.
7. რა აღმოჩნდა პატარა ეთერის მთავარი პიროვნული თვისება? ეთერზე საუბრისას მის რა გარეგნულ ნიშნებზეა ყურადღება გამახვილებული?
8. ეთერის გარეგნობა სულ რამდენიმე სიტყვით დაიხატა. სამაგიეროდ რა აღწერა მწერალმა ზედმინევენითი სიზუსტით? რა მიზანს ისახავს ეს აღწერა?
9. სკოლა მეორე სოფელშია. იქ მისვლამდე გოგონამ დიდი გზა უნდა გაიაროს. დაწვრილებით აღწერეთ ეთერის გზა სახლიდან სკოლამდე.
10. სკოლის კედელზე ქართველი მწერლების პორტრეტები გაუკრავთ. რომელი დეტალები იქცევეს ყურადღებას მათ აღწერაში? როგორ დაუკავშირდა ეს პორტრეტები მოთხრობის მთავარ გმირს?
11. როგორ ფიქრობთ, რატომ იღიმება ეთერი წიგნის კითხვის დროს?
12. თქვენი აზრით, მოთხრობაში მთავარი გმირის ცხოვრების ერთი, გამორჩეული დღეა აღწერილი, თუ სხვა დღეების მსგავსი დღე?

ღამატიანი ამოცანები

შეგიძლია წარმოიდგინო?

გაგიჭირდათ მწერლის მიერ „დახატული“ სურათების წარმოდგენა? აღწერეთ, რომელი „სურათი“ წარმოგიდგათ თვალწინ ყველაზე ცხადად ამ ნაწარმოების კითხვის დროს. იყო ნაწარმოებში ისეთი ადგილი, რომელიც ვერ გაიგეთ ან ვერ წარმოიდგინეთ?

გახსოვდეთ: კარგი მკითხველი ის არის, ვისაც წაკითხულის თვალნათლივ წარმოდგენა შეუძლია.

სავარჯიშო: წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ლექსი და უპასუხეთ კითხვებს:

შოთა ნიშნინიძე

* * *

ნისლი ზმორებით ადგა მიწიდან
მოოქროვილი და მოვერცხლილი,
სარზე მამალმა ხმა ჩაინმინდა –
მზე გადაყლაპა თოხლო კვერცხივით.

- რისი სურათია აღწერილი ამ ლექსში? (გაიხსენეთ, როდის ყივის მამალი);
- როგორ გესმით: „ნისლი ზმორებით ადგა მიწიდან“? როგორ წარმოგიდგენიათ ნისლის „მიწიდან ადგომა“?
- როგორ ფიქრობთ, მართლა გადაყლაპა მამალმა მზე? როგორ უნდა გავიგოთ პოეტის ეს სიტყვები?
- რას დაარქმევდით ამ უსათაურო ლექსს?

მთავარი აზრი და დეტალები

გავიხსენოთ, როგორ იწყება მოთხრობის ის აბზაცი, რომელშიც ეთერის სახლია აღწერილი: „მხოლოდ მესამე სახლს ეტყობა კაცის ხელი“, – გვეუბნება ავტორი. შემდეგ კი ამ წინადადებაში გამოთქმული აზრის დამადასტურებელი **დეტალებია** ჩამოთვლილი: „ჯერ ისევ ნედლი რცხილის წნელით არის შემოღობილი მაღალი საჩხე“..., „მოთრეულია ხერხით მოჭრილი ორი ვეება წიფელი“ და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ ამ აბზაცის **მთავარი აზრი** მის პირველ წინადადებაშია გამოთქმული, აბზაცის დანარჩენი ნაწილი კი ამ აზრის გავრცობას, მის თვალსაჩინოდ წარმოსახვას ემსახურება.

დაიმახსოვრეთ

მთავარ აზრს აბზაცის (ან ტექსტის) მთავარ სათქმელს უწოდებენ. **დეტალები** კი ის მცირე ნაწილებია, რომლებიც ერთიან აზრს, ერთიან სურათს ქმნიან.



წერიტი სავარჯიშო:

- ამოიწერეთ მოთხრობის პირველი აბზაციდან მთავარი აზრის გამომხატველი წინადადება;
- გააგრძელეთ და დაასრულეთ აბზაცი, რომლის მთავარი აზრიც შემდეგი წინადადებით არის გამოხატული: „ეთერი დილით ადრე დგება...“



პროექტი:

განვაახლოთ მწერლების სურათები

დაიყავით ჯგუფებად და დაეხმარეთ ეთერის სკოლას დერეფანში ჩამწკრივებული სურათების განახლებაში:

- I. ჩამოწერეთ იმ ქართველი მწერლების სია, რომელთა სურათებიც ეთერის სკოლის დერეფანშია გამოფენილი.
- II. შემდეგ ინტერნეტის მეშვეობით მოიძიეთ მათი სურათები. ამისათვის საჭიროა, „გუგლის“ საძიებო სისტემის (**google.ge**) ფანჯარაში ჩაწეროთ მწერლის სახელი და გვარი და შემდეგ „დაანკაპოთ“ ზემოთ განთავსებულ წარწერაზე „სურათები“.
- III. გადმოწერეთ შერჩეული სურათები კომპიუტერში, ამობეჭდეთ და შექმენით მინიპლაკატი ან ბუკლეტი: „ქართველ მწერალთა სურათები ეთერის სკოლისათვის“.
- IV. გამართეთ თქვენი ნამუშევრების პრეზენტაცია. შეაფასეთ და გამოავლინეთ საუკეთესო პლაკატი ან ბუკლეტი.